SMART business

Microsoft Dynamics 365 Business Central

SMART LOCALIZATION

Release Note

v. 2026.10

Published

კონფიდენციალურობის შეტყობინება: ეს დოკუმენტი კონფიდენციალურია და შეიცავს კომერციულ საიდუმლო ინფორმაციას, ამავდროულად წარმოადგენს SMART business-ის ინტელექტუალურ საკუთრებას. არც ეს დოკუმენტი და არც აქ მოცემული ინფორმაცია არ შეიძლება იყოს რეპროდუცირებული ან გამჟღავნებული SMART business-ის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ამ დოკუმენტისა და აქ მოცემული ინფორმაციის გამჟღავნება, კოპირება, გავრცელება ან გამოყენება სასტიკად აკრძალულია.

Contents

1. შესავალი 3
2. SMART IFRS16 Leasing -ის განახლებები 4
3. SMART Cash Flow -ს განახლებები 7
4. SMART Reserves განახლებები 9
5. SMART Master Data Management -ის განახლებები 10
6. SMART Cost Allocation განახლებები 12
7. SMART Retail Core განახლებები 14
8. სისტემის განახლების პროცედურა 15
9. SMART Localization-ის განახლების წესები და პირობები 16

1. შესავალი

დოკუმენტში მოცემულია SMART Localization-ის გადაწყვეტილების ფუნქციონალის გაუმჯობესებები და ცვლილებები, რომლებიც მოცემულია 2026.10 რეგულარულ განახლებაში. განახლება მოიცავს ფუნქციონირების ცვლილებებს 07/01/26-დან 09/30/26-მდე.

პასუხისმგებლობის შეზღუდვა

ამ დოკუმენტის შინაარსი მხოლოდ საინფორმაციოა და წარმოადგენს აღნიშნულ თემაზე SMART business LLC-ის ამჟამინდელ ხედვას გამოქვეყნების თარიღისთვის. ეს დოკუმენტი და მისი შინაარსი არ წარმოადგენს, და არც უნდა იქნას განმარტებული, როგორც SMART business LLC-ის მხრიდან არსებული ვალდებულება. SMART business LLC არ იძლევა გარანტიას მოცემულ დოკუმენტში მოყვანილი ნებისმიერი ინფორმაციის სიზუსტეზე.

შეტყობინება საავტორო უფლების შესახებ

საავტორო უფლებებთან დაკავშირებულ მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის დაცვა მომხმარებლის პასუხისმგებლობაა. ამ დოკუმენტის შინაარსი SMART business LLC-ის ინტელექტუალურ საკუთრებას წარმოადგენს. შპს SMART business-ის, როგორც საავტორო უფლებების მფლობელის, უფლებების შეზღუდვის გარეშე, დაუშვებელია ამ დოკუმენტის ნებისმიერი ნაწილის რეპროდუცირება, შენახვა ან მოძიების სისტემაში შესვლა, ან რაიმე ფორმით ან ნებისმიერი მიზნით გადაცემა (ელექტრონული, მექანიკური, ფოტოკოპირება, ჩაწერა, ან სხვაგვარად), ან რაიმე მიზნით მისი გამოყენება ნებისმიერ სხვა ნაშრომში ან პუბლიკაციაში, შპს SMART business-ის ოფიციალური წერილობითი ნებართვის გარეშე. ამ დოკუმენტის კოპირება მხოლოდ პირადი გამოყენებისთვის შეგიძლიათ.

SMART business LLC შეიძლება ჰქონდეს პატენტები, პატენტის განაცხადები, სავაჭრო ნიშნები, საავტორო უფლებები ან სხვა ინტელექტუალური საკუთრების უფლებები, რომლებიც მოიცავს ამ დოკუმენტის საგანს. გარდა იმ შემთხვევებისა, რაც პირდაპირ არის გათვალისწინებული SMART business LLC-ის რომელიმე ცალკეულ წერილობით სალიცენზიო ხელშეკრულებაში, ამ დოკუმენტის მიწოდება არ გაძლევთ რაიმე ლიცენზიას ამ პატენტებზე, სავაჭრო ნიშნებზე, საავტორო უფლებებზე ან სხვა ინტელექტუალურ საკუთრებაზე

© 2022 SMART business. ყველა უფლება დაცულია. აქ ნახსენები კომპანიის და პროდუქტის რეალური სახელები შეიძლება იყოს მათი შესაბამისი მფლობელების სავაჭრო ნიშნები.

2. SMART IFRS16 Leasing -ის განახლებები

განახლება მოიცავს შემდეგ გაუმჯობესებებს, ახალ ფუნქციურ შესაძლებლობებს და გასწორებულ შეცდომებს:

ქვეყნის კოდი	ID	კონტენტი	ფუნქციონალური სივრცე	ცვლილების ტიპი
CORE	#62168	დაემატა ხელშეკრულების ვალუტის არჩევის შესაძლებლობა. თუ მომწოდებლის ხელშეკრულების ბარათში მითითებულია ადგილობრივი ვალუტისგან განსხვავებული ვალუტა, იგი ავტომატურად აისახება იჯარის ობიექტის ბარათსა და იჯარის პირობებში.	SMART IFRS16 Leasing	New Feature
CORE	#105777	დაემატა დისკონტირების კოეფიციენტების განაკვეთის ახალი ტიპი - „ეფექტური პერიოდზე". ამ ტიპის შემთხვევაში, პერიოდზე გათვლილი განაკვეთი წლიური განაკვეთიდან შემდეგი ფორმულით გამოითვლება: (1 + წლიური განაკვეთი)^(1 / წელიწადში გადახდების რაოდენობა) – 1. ეფექტური განაკვეთი გამოიყენება პროცენტის, ანუიტეტის კოეფიციენტის, საწყისი/საბოლოო გადახდისა და სალიზინგო გადახდების მიმდინარე ღირებულების გამოთვლისას.გვერდზე „დისკონტირების კოეფიციენტები" ველს „დისკონტირების მეთოდი" შეეცვალა დასახელება და ეწოდა „განაკვეთის ტიპი"; ასევე შეიცვალა მისი არჩევანის ვარიანტების სახელწოდებები: „პერიოდზე" - „ნომინალური პერიოდზე", ხოლო „დღეზე" - „ეფექტური დღეზე". აღნიშნული ვარიანტებისთვის გამოთვლის წესები უცვლელი რჩება. ველი „დღეების დათვლის წესი" გამოიყენება მხოლოდ განაკვეთის ტიპის - „ეფექტური დღეზე" შემთხვევაში. გვერდის „ლიზინგის პარამეტრები" ჩანართში „ზოგადი" დაემატა ახალი ველი - „განაკვეთის ტიპი (დეფოლტი)". ახალი დისკონტირების კოეფიციენტის შექმნისას, ველში „განაკვეთის ტიპი" აღნიშნული	SMART IFRS16 Leasing	New feature

		მნიშვნელობა ავტომატურად აისახება.		
CORE	#105786	შეიცვალა ლიზინგის გაანგარიშებები გადახდის იმ ტიპისთვის, რომელიც „დარიცხვის პერიოდში დღეების რაოდენობას" ეფუძნება. გაუმჯობესდა პროცენტისა და მიმდინარე ღირებულების (PV) გამოთვლა პერიოდებზე დაფუძნებული დისკონტირების მეთოდის გამოყენებით.	SMART IFRS16 Leasing	New feature
CORE	#105787	შეიცვალა ლიზინგის გაანგარიშება გადახდის იმ ტიპისთვის, რომელიც გულისხობს „ლიზინგის პერიოდის ბოლო დღე"-ს . გაუმჯობესდა ბოლო შენატანზე პროცენტის დარიცხვის მეთოდი.	SMART IFRS16 Leasing	New feature
CORE	#105828	დამატებულია არასაიჯარო გადახდების დაპოსტვის შესაძლებლობა მთავარი ჟურნალის საშუალებით (ადრე ეს შესაძლებელი იყო მხოლოდ შესყიდვის დოკუმენტების საშუალებით). IFRS კონფიგურაციის გვერდზე დაემატა ახალი ველი, „არასაიჯარო ხარჯების ანგარიშის ნომერი", რათა განისაზღვროს ანგარიში, რომელზეც დაიპოსტება არასაიჯარო გადახდები.	SMART IFRS16 Leasing	New feature
CORE	#105829	ოპტიმიზებულია ფასდაკლების კოეფიციენტების შექმნის პროცესი: ჩანაწერის ველების შევსება უკვე შესაძლებელია ნებისმიერი თანმიმდევრობით, „კოეფიციენტის მნიშვნელობა, % "-ის ველში მონაცემის წინასწარ შეყვანის გარეშე.	SMART IFRS16 Leasing	New feature
CORE	#106763	ლიზინგის ობიექტის ბარათზე დამატებულია ველის „ლიზინგის ხელშეკრულების ხანგრძლივობა" მნიშვნელობის ჩვენება.	SMART IFRS16 Leasing	New feature
CORE	#107633	ლიზინგის ობიექტის ბარათის საიჯარო პირობებს დაემატა ახალი ქვე-გვერდი ლიზინგის გადახდის ტიპის პირობებისთვის, სადაც შეგიძლიათ იჯარა დაყოთ პერიოდების მიხედვით. ეს საშუალებას გაძლევთ შეიყვანოთ საკონტრაქტო იჯარის ცვლილებები, რომლებიც ცნობილია იჯარის დაწყების თარიღისთვის, თითოეული პერიოდისთვის პირობების დაწყების თარიღის, პირობების დასრულების თარიღის და ქირის ფასის	SMART IFRS16 Leasing	New feature

		მითითებით.თავდაპირველ გაანგარიშებაში, ამ სტრიქონებიდან ყველა მომავალი გადახდა შედის ფულად ნაკადებში, მიმდინარე ღირებულებაში და საწყის საიჯარო ვალდებულებაში.		
CORE	#108899	ლიზინგის გაანგარიშების ცხრილს დაემატა ველები - „პერიოდის ფაქტობრივი დაწყება“ და „პერიოდის ფაქტობრივი დასრულება“, რომლებიც, ხელშეკრულების დაწყების თარიღზე დაყრდნობით, ლიზინგის თითოეული პერიოდის ფაქტობრივ დაწყებისა და დასრულების თარიღებს ასახავს.აღნიშნული ველები გრაფიკის გაანგარიშების ან განახლებისას ავტომატურად ივსება და მათი რედაქტირება შეუძლებელია. ხოლო, არსებული ხელშეკრულებების განახლება მოხდება მონაცემების ხელახალი გაანგარიშებისას.	SMART IFRS16 Leasing	New feature

3. SMART Cash Flow -ს განახლებები

განახლება მოიცავს შემდეგ გაუმჯობესებებს, ახალ ფუნქციურ შესაძლებლობებს და გასწორებულ შეცდომებს:

ქვეყნის კოდი	ID	კონტენტი	ფუნქციონალური სივრცე	ცვლილების ტიპი
CORE	#105821	გაუმჯობესდა ხელშეკრულებიდან ანალიტიკის მნიშვნელობების ავტომატური შევსების პროცესი: ახლა ეს მნიშვნელობები ავტომატურად ივსება ხელშეკრულების ნომრის დებიტორული/კრედიტორული დავალიანების გეგმის სტრიქონში შეყვანისთანავე, სხვა სტრიქონზე გადასვლის საჭიროების გარეშე.	SMART CashFlow	New feature
CORE	#92357	„ფულადი ნაკადების პროგნოზი“ გვერდზე დაემატა ველი „პროგნოზის განახლების რეჟიმი“ ველი განსაზღვრავს, თუ როგორ განაახლებს სისტემა ფულადი სახსრების ნაკადების ჟურნალს ფულადი ნაკადების ჟურნალის სტრიქონების გენერირებისას. ხელმისაწვდომი ვარიანტებია: უბრალოდ დაამატეთ ახალი სტრიქონი - ემატება მხოლოდ სტრიქონები, რომლებიც ჯერ არ არსებობს ფულადი სახსრების ნაკადების ჟურნალში. ეს პარამეტრი მიჰყვება სტანდარტული პროგნოზის განახლების ლოგიკას, ავტომატური წაშლის გარეშე. გადაუხდელი ჩანაწერების ავტომატური წაშლა - სისტემა წაშლის არსებულ ფულადი ნაკადების ჩანაწერებს ამ პროგნოზისთვის, ინახავს მხოლოდ გადახდილ ჩანაწერებს და მათ, რაც არსებობს მთავარ ჟურნალში, და შემდეგ ახლიდან აგენერირებს სტრიქონებს. ეს ოფცია ცვლის "გადაუხდელი ჩანაწერების ავტომატურ წაშლა"-ს რომელიც ამოღებულია. განახლებების მიმოხილვა სამუშაო გვერდზე - როდესაც სტრიქონები იქმნება, ნაჩვენებია თითოეული სტრიქონის განახლების სტატუსი, რაც უზრუნველყოფს ჩანაწერებზე უფრო გამჭვირვალე კონტროლს.	SMART CashFlow	New feature
CORE	#104908	„ფულადი ნაკადების ჩანაწერების“ გვერდზე დაემატა „ბანკის ანგარიშის ბალანსის“ ქვე-გვერდი (ფაქტბოქსი). ფაქტბოქსი ნაჩვენებია იმ	SMART CashFlow	New feature

		ჩანაწერებისთვის, სადაც შევსებულია „კომპანიის საბანკო ანგარიშის ნომერი“ ველი და აჩვენებს საბანკო ანგარიშის პროგნოზირებულ ბალანსს, რაც ხელს უწყობს შერჩეული ჩანაწერის ბალანსზე გავლენის შეფასებას. ყველა თანხა ნაჩვენებია საბანკო ანგარიშის ვალუტაში. გაანგარიშების თარიღი არის სამუშაო თარიღისა და არჩეული ჩანაწერის თარიღებს შორის უფრო გვიანდელი თარიღი.		
CORE	#105481	„ფულადი ნაკადების სამუშაო გვერდს“ და „ფულადი ნაკადების მთავარი წიგნის ჩანაწერების " გვერდს დაემატა ველი „წყაროს დასახელება“. აღნიშნული ველი ასახავს ფულადი ნაკადების მთავარი წიგნის ჩანაწერის წყაროს დასახელებას.	SMART CashFlow	New feature

4. SMART Reserves განახლებები

The upgrade includes the following improvements, new functional capabilities, and error fixes:

ქვეყნის კოდი	ID	კონტენტი	ფუნქციონალური სივრცე	ცვლილების ტიპი
CORE	#107731	SMART Reserves-ის მოდულში, ფულადი მნიშვნელობების მქონე ველებისთვის დაემატა ვალუტის კოდის ჩვენების შესაძლებლობა, რაც დამოკიდებულია მთავარი წიგნის კონფიგურაციის პარამეტრებში არსებულ „ვალუტის ჩვენების" პარამეტრზე. ვალუტის კოდი (ადგილობრივი ან უცხოური) აისახება ტრანზაქციის ვალუტის შესაბამისად; ხოლო არაფულადი ტიპის ათწილადი ველების შემთხვევაში, ვალუტის კოდი არ გამოჩნდება.	SMART Reserves	New feature

5. SMART Master Data Management -ის განახლებები

The upgrade includes the following improvements, new functional capabilities, and error fixes:

ქვეყნის კოდი	ID	კონტენტი	ფუნქციონალური სივრცე	ცვლილების ტიპი
CORE	#101610	შერჩეული ჩანაწერების ხელახლა გაგზავნა: კონკრეტული ჩანაწერების დანიშნულების კომპანიაში ხელახლა გაგზავნა, მაგალითად, შეუსაბამობის გამოსასწორებლად, მონაცემთა სრული ნაკრების ხელახლა გაგზავნის გარეშე.	SMART Master Data Management	New feature
CORE	#103812	გამოსწორდა მონაცემთა ნაკრებში ველის არჩევასთან დაკავშირებული პრობლემა. ცხრილის დალაგების შემდეგ, მასობრივი მოქმედებები შესაძლოა შესრულებულიყო არასწორ სტრიქონებზე, მომხმარებლის მიერ რეალურად შერჩეული ჩანაწერების ნაცვლად.	SMART Master Data Management	Bugfix
CORE	#35253	მთავარი და მიმღები კომპანიების უფრო მარტივი, ეტაპობრივი კონფიგურაცია: ახალი ნაბიჯ-ნაბიჯ მიმოხილვა და მკაფიო ინსტრუქციები კონფიგურაციის გვერდებზე დაგეხმარებათ მონაცემთა ნაკრებების, ავტორიზაციის მონაცემების, კავშირების, ნებართვებისა და დაგეგმილი დავალებების გამართვაში.	SMART Master Data Management	New feature
CORE	#99682	დაემატა მონაცემთა პაკეტის არაშეკუმშულ ფორმატში ჩამოტვირთვის, რედაქტირებისა და შეკვეცილი პაკეტის სახით ხელახლა ატვირთვის შესაძლებლობა. ეს მომხმარებლებს საშუალებას აძლევს, წაშალონ პრობლემური ჩანაწერები ისე, რომ სწორი ჩანაწერები არ დაკარგონ.	SMART Master Data Management	New feature
CORE	#35253	ახლა MDM-ის გაფართოება შესაძლებელია შესაბამისად თქვენი კომპანიის საკუთარი წესების, რომლებიც სრულდება დანიშნულების კომპანიაში ძირითადი მონაცემების მიღებისას, მაგალითად, ახალი ჩანაწერის შექმნის შემდეგ ველების მნიშვნელობების შესამოწმებლად.	SMART Master Data Management	New feature

CORE	#101609	დაემატა მონაცემთა ნაკრების მეტამონაცემების რეალურ დროში სინქრონიზაცია სამიზნე მონაცემთა ბაზასთან. მონაცემთა ნაკრები და მისი პარამეტრები სინქრონიზდება მონაცემების გადაცემის გარეშე.	SMART Master Data Management	New feature
CORE	#106561	დაემატა მონაცემთა ნაკრების ველების დამუშავების ეტაპი, რომელიც ჩანაწერების შექმნისა და განახლების დროს დამუშავების თანმიმდევრობას აკონტროლებს და პაკეტის დამუშავების შეცდომებს თავიდან იცილებს.	SMART Master Data Management	New feature
CORE	#35253	ახლა Business Central-ის ნებისმიერი ტიპის ლიცენზიის, მათ შორის შეზღუდული ლიცენზიების, მომხმარებლებს შეუძლიათ MDM-ის მიერ სინქრონიზებული ძირითადი მონაცემების რედაქტირება.	SMART Master Data Management	New feature
CORE	#100040	გაუმჯობესდა აპლიკაციის უკრაინული თარგმანი, მათ შორის კავშირის კონფიგურაციის ეკრანები.	SMART Master Data Management	New feature

6. SMART Cost Allocation განახლებები

The upgrade includes the following improvements, new functional capabilities, and error fixes:

ქვეყნის კოდი	ID	კონტენტი	ფუნქციონალური სივრცე	ცვლილების ტიპი
CORE	#99849	წარმოგიდგენთ SMART Cost Allocation — ს. - გადაწყვეტას Microsoft Dynamics 365 Business Central-ში საწარმოო დანახარჯების გადატანისა და განაწილების ავტომატიზაციისთვის SMART Cost Allocation ავტომატურად ახორციელებს დაგროვილი საერთო ზედნადები დანახარჯების ხარჯების ანგარიშებიდან საწარმოო ანგარიშებზე გადატანას, განზომილებების შესახებ ინფორმაციის შენარჩუნებით. ეს ამცირებს პერიოდის დახურვისთვის საჭირო დროს, გამორიცხავს დიდი რაოდენობით გატარებების ხელით შექმნის საჭიროებას და უზრუნველყოფს საწარმოო დანახარჯების ფინანსურ აღრიცხვაში ზუსტად ასახვას. ფუნქციონალი: • ანგარიშების ნაშთების ავტომატური გადატანა G/L ანგარიშებს შორის, ანგარიშისა და განზომილებების კომბინაციის საფუძველზე. • წყაროსა და დანიშნულების ანგარიშებს შორის განზომილების მნიშვნელობების შესაბამისობის განსაზღვრის მხარდაჭერა. • თანხის განაწილება რამდენიმე დანიშნულების ანგარიშზე წინასწარ განსაზღვრული კოეფიციენტების გამოყენებით. • გადატანისას სრული ანალიტიკური მონაცემებისა და განზომილებების ნაკრებების შენარჩუნება. • ანგარიშების ნაშთების საფუძველზე საალრიცხვო გატარებების მასობრივად შექმნა. დამუშავების პროცესშია შემდეგი ფუნქციონალიც:	SMART Cost Allocation	New feature

		• მზა პროდუქციის თვითღირებულების გაანგარიშება განაწილების დრაივერების გამოყენებით. • მომდევნო პერიოდებში გადასატანი დაუმთავრებელი წარმოების (WIP) გაანგარიშება. • გაწეული მომსახურების თვითღირებულების გაანგარიშება.		

7. SMART Retail Core განახლებები

The upgrade includes the following improvements, new functional capabilities, and error fixes:

ქვეყნის კოდი	ID	კონტენტი	ფუნქციონალური სივრცე	ცვლილების ტიპი
CORE	#103731	გამოქვეყნდა SMART Retail Core-ის ახალი გადაწყვეტა, რომელიც დაფუძნებულია Microsoft Dynamics 365 Business Central-ზე, იგი აფართოებს LS Central-ის ფუნქციონალს და ხელს უწყობს საცალო ვაჭრობაში ფინანსური აღრიცხვის ავტომატიზაციას. გადაწყვეტა უზრუნველყოფს მაღაზიებში ფულადი სახსრების მოძრაობის კონტროლს, გადახდის ხაზების განაწილების მეშვეობით საშუალებას იძლევა უფრო ზუსტად მოხდეს გადახდების შეჯერება საბანკო და სავაჭრო ამონაწერებთან, ასევე ავტომატიზებას უკეთებს გაყიდვის ტიპის შესახებ მონაცემების შესაბამის ანგარიშებზე გადატანას. SMART Retail Core მხარს უჭერს სხვადასხვა ფორმატის მაღაზიებში ფულადი სახსრების აღრიცხვის ერთიან მიდგომას, საშუალებას გაძლევთ რეალურ დროში აკონტროლოთ ფულადი ნაშთები და დროულად მოახდინოთ რეაგირება დადგენილ ლიმიტებთან მიახლოებისას. გადაწყვეტის ფუნქციონალი ფინანსურ გუნდებს ეხმარება შეუსაბამობების რისკის შემცირებაში, ანგარიშგების ხარისხის გაუმჯობესებასა და მმართველობითი გადაწყვეტილებების მისაღებად უფრო სანდო მონაცემების მიღებაში.	SMART Retail Core	New feature

8. სისტემის განახლების პროცედურა

სისტემის განახლება ორი ეტაპისგან შედგება:

- კოდის განახლება
- მონაცემთა განახლება

კოდის განახლება ეხება ობიექტების ცვლილებების მიგრაციას გამოშვებიდან მომხმარებელთა ბაზამდე, რომელიც შესრულებულია ორი ვერსიის ტექსტური შერწყმის გზით.

მონაცემთა განახლება გულისხმობს არსებული მონაცემების შეცვლას იმ შემთხვევაში, როდესაც ახალი გამოშვება ცვლის მონაცემთა სქემას, ან ახალი პარამეტრების შემთხვევაში. არსებული მონაცემები ავტომატურად იცვლება კოდის განახლების დროს მონაცემთა განახლების პროცედურის დაწყების მომენტში. ახალი მოდულების დაყენება ხორციელდება ხელით.

9. SMART Localization-ის განახლების წესები და პირობები

1. SMART business (შემდგომში „კომპანია“) შეიმუშავებს და განაახლებს SMART Localization-ის გადაწყვეტილებას (შემდგომში „გადაწყვეტილება“) Microsoft Dynamics Partner Localization and Translation Licensing Program (PLLP) განსაზღვრული მოთხოვნებისა და შეზღუდვების შესაბამისად (PLLP).
2. ყოველი კვარტლის პირველ სამუშაო დღეს კომპანია აქვეყნებს გადაწყვეტილების განახლებებს. შემდგომში კომპანია იტოვებს უფლებას შეცვალოს განახლებების გამოშვების სიხშირე.
3. გადაწყვეტილების განახლებები უფასოდ მიეწოდება კომპანიის კლიენტებს, რომლებსაც გააქტიურებული აქვთ გამოწერა ყველა Microsoft Dynamics NAV და Microsoft Dynamics 365 Business Central პროდუქტის ვერსიებისთვის, რომლებიც Microsoft-ის ძირითადი მხარდაჭერის პერიოდის ეტაპზეა. პროგრამული პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის სანახავად, გადადით ბმულზე https://support.microsoft.com/en-us/lifecycle/search.
4. მომხმარებელთა სისტემა განახლებულია გრაფიკის წინასწარი კოორდინირებით, ასევე მომხმარებლის სისტემებზე განახლებების მიგრაციის სამუშაოების მოცულობით, მათ შორის პარამეტრების განახლებასა და სისტემის ტესტირებაზე და უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს შემდეგი განახლების გამოშვებისა. განახლების გამოშვების სავარაუდო გრაფიკი არის 3 თვეში ერთხელ. განახლება შეიძლება გადაიდოს 3 თვით წინასწარ ურთიერთშეთანხმების შემთხვევაში.
5. ასევე გათვალისწინებულია მომხმარებლის მიერ სისტემის დამოუკიდებლად განახლების შესაძლებლობა. ამ მიზნით, კომპანიამ უნდა უზრუნველყოს განახლებები, მათ შორის რეკომენდაციები პარამეტრებისა და სკრიპტების განახლების შესახებ მონაცემების განახლებისთვის. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სისტემის მომხმარებლის მოდიფიკაციები შეიძლება შეუთავსებელი იყოს მიღებული განახლების საწყის კოდთან და, შედეგად, სისტემის განახლება ან შესრულებული ცვლილებები უნდა დარეგულირდეს.
6. კომპანიამ უსასყიდლოდ უნდა გამოასწოროს აქტიური გამომწერების და რეგულარულ განახლებებში c.4.-ის შესაბამისად ჩართული მომხმარებლების გადაწყვეტილების შეცდომები
7. კომპანიამ უნდა წარმოადგინოს ყოველი განახლების ცვლილებების დეტალური აღწერა და გამოაქვეყნოს იგი არაუგვიანეს განახლების გამოშვების თარიღისა.
8. კანონმდებლობის დაუგეგმავი განახლებები ან შეცდომის დაუგეგმავი გასწორება მომხმარებელს მიეწოდება განახლებების გამოშვების სიხშირის მიუხედავად.
9. გადაწყვეტილების სრული განახლება ან მისი ცალკეული ფუნქციური შესაძლებლობების განახლება სისტემის იმგვარი „მოძველებული“ ვერსიისათვის, რომელიც არ შედის Microsoft-ის მხარდაჭერის საბაზო პერიოდში პ.პ.3-ის შესაბამისად, ანდა აქტიური ხელმოწერის არმქონე კლიენტებისთვის, კომპანიის მიერ ხორციელდება იმის გათვალისწინებით, რომ ამგვარი განახლება იქმნება

სპეციალურად ამგვარი კლიენტისთვის და, შესაბამისად, შეიძლება კლიენტს გადაეცეს სათანადო ანაზღაურების საფუძველზე.

10. წინამდებარე პირობებიდან ნებისმიერი გადახვევა დოკუმენტირებული უნდა იყოს ხელშეკრულების ფორმით; წინააღმდეგ შემთხვევაში, მოქმედებს ეს წესები და პირობები.